# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№5 (9.865)

23 თებერვალი-2 მარტი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## „თოვდა და თბილისს ეზურა თალხი“...

გვ. 2

## წყალი სილარიბის აღმოსაფხვრელად

გვ. 3

## შეხვედრა იუბილართან

გვ. 6

## ევროკავშირის ელჩს პანკისში ნაბადი არუქეს

გვ.7

## სადავო რძის პროდუქტები

### მავნეა თუ არა პალმის ცხიმი ყველში?!

გვ. 5

„ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება ჩვენი ინტერესია და არა – კაპრიზი!

## ტექდათვალიერების შუქ-ჩრდილები

გვ. 3

## მოზაიკის ნამუშევრები დაუცველია!




გვ. 8

C M Y K

# „თოვდა და თბილისს ებურა თალხი“...

იმ დღეს თოვდა, მაგრამ ეს თოვლი თეთრი კი არა, სისხლისფერი იყო. იმ დღეს საქართველოში „წითელი ვირუსი“ გავრცელდა, ვირუსი, რომლის სამკურნალო ვაქცინის „გამოგონებასაც“ ათეულობით წელი დასჭირდა. თავდაპირველად, ვაქცინას დადებითი ეფექტი ექნება და სენს თითქოს დაამარცხებს. ამ ვაქცინას „ეროვნულ მოძრაობას“ დაარქმევენ, მაგრამ მერე, წლები რომ გავა, წითელი დაავადება გაცოცხლებას დაიწყებს, ეროვნული მოძრაობაც მინავლდება და ვიღაცეები 1921 წლის 25 თებერვლის რეინკარნაციას შეეცდებიან. ისინი მოდერნიზებული ბოლშევიკები იქნებიან ანუ ახალი ყაიდის კომუნისტები, რომელთაც „37 მანეთის“ სევდა წალეკავს. მათ მარო მაყაშვილისა თუ სხვა იუნკერების პატრიოტულ სულისკვეთებაშიც ეჭვი შეეპარებათ და 21-ე საუკუნეში გული ისევ თანამედროეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბოროტების იმპერიისკენ გაუწევთ. ასე გაჩნდება ქართული ღალატის ისტორიაში ახალი სამარცხვინო დეტალები.

რუსეთ-საქართველოს ომი 1921, აგრეთვე ცნობილი როგორც წითელი არმიის შემოჭრა საქართველოში. რუსეთის წითელი არმიის სამხედრო კამპანია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) მთავრობის გადაგდებისა და ქვეყანაში ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების მიზნით. კონფლიკტი იყო საბჭოების ექსპანსიური პოლიტიკის შედეგი, რომლის მიზანი ყოფილი იმპერიული რუსეთის ტერიტორიებზე კონტროლი იყო, ასევე რუსეთში მოღვაწე ქართველ ბოლშევიკთა მცდელობა, რევოლუციური გარდაქმნები მოეხდინათ საკუთარ ქვეყანაში, სადაც მათ საკმარისი მხარდაჭერა ადგილობრივ ძალებში არ ჰქონდათ უცხოური ინტერვენციის გარეშე.

პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთში მომხდარი რევოლუციების სერიის შედეგად საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, სოციალისტებით სათავეში, საკმაო წარმატებას მიაღწია დემოკრატიული სახელმწიფოს შენების საქმეში.

1920 წლის თებერვლის ბოლოს გაფორმდა ალიანსი თურქეთის ქემალისტურ მთავრობასა და რუსეთის საბჭოურ ხელისუფლებას შორის. ახალი ალიანსი მოითხოვდა, რომ ორ ქვეყანას შორის ყოფილიყო სტაბილური სახმელეთო კავშირი. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იყო, რომ სამი სამხრეთ კავკასიური სახელწიფო - აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკები განაწილებულიყო თურქეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის. მას შემდეგ, რაც რუსეთმა და თურქეთმა გადაინაწილეს სომხეთი და აზერბაიჯანი, საქართველო იყო უკანასკნელი დამოუკიდებელი კავკასიური სახელმწიფო, რომელიც დასავლეთის ბასტიონად იყო მიჩნეული,ის მოიმწყდიეს საბჭოეთმა და ქემალისტებმა, იმისთვის, რომ დასრულებულიყო თურქულ-საბჭოთა პროექტი კავკასიაში, ისიც უნდა დაცემულიყო.

1921 წლის თებერვალში, მოსკოვის ინსტრუქციების თანახმად, წითელი არმია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შემოიჭრა. საქართველოზე მასიური შეტევის დაწყებას წინ უძღოდა საბჭოთა „სახალხო აჯანყება“ საქართველოს დემოკატიული რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ. საქართველოს ყოველდღიურად მოულოდნელი მძიმე დარტყმებით აიძულებდნენ უკან დახევას, ტერიტიებზე კონტროლი ვერ ხერხდებოდა.

გადამწყვეტი ბრძოლა თბილისის კარიბჭესთან გაიმართა. 19 თებერვალს თბილისში უკვე ისმოდა რუსული არმიის ქვემეხების ხმა. ქართულმა არტილერიამ მას ენერგიული პასუხი გასცა. 2-3 დღეში ქართველები კონტრშეტევაზე გადავიდნენ, 1500 ადამიანი დაატყვევეს. კავალერიის უქონლობის გამო ქართული ჯარი ვერ დაედევნა მოწინააღმდეგეს, რამაც წითელ არმიას მისცა დასვენებისა და გადაჯგუფების დრო. მთავრობისა და სამხედრო შტაბის გადაწყვეტილებამ, დაეტოვებინა თბილისი, დემორალიზაცია შეიტანა ფრონტზე და პანიკა დათესა მოსახლეობაში. **25 თებერვალს დედაქალაქში რუსეთის მე-11 წითელი არმიის ნაწილები უბრძოლველად შევიდნენ. ბაქოდან სერგო ორჯონიკიძემ ლენინს დეპეშით აცნობა: „თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს, გაუმარჯოს საბჭოთ საქართველოს!“**

თუმცა კი ყველამ კარგად ვიცით, რომ „დრონი მეფობენ და არა მეფენი“. და დადგა ის დღეც, როდესაც კომუნისტური რეჟიმი დასუსტდა. ქართველი ხალხი არასდროს შეჰგუებია თვისუფლების დაკარგვას. 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქარტველოს მოსახლეობის ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.

მასალა მოამზადა

ინესა ამბარიანმა

# „ოცნების“ გაზაფხული

***„ოცნების” შიდაპარტიული ომი, დიდი ურთიერთლანძღვის შემდეგ, საბოლოოდ ე.წ. ახლების გამარჯვებით დასრულდა. 45 მომხრე, 17 წინააღმდეგი - ბესელიას კანონპროექტი მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის შეჩერების შესახებ ჩავარდა და უკვე განაჩენიც გამოტანილია - თავად ბესელიამ, ლევან გოგიჩაიშვილმა და გედევან ფოფხაძემ უმრავლესობა დატოვეს.***

ხუთშაბათს პარლამენტში „ნერვების ომი“ დილიდან დაიწყო. სესიაზე განსახილველი იყო ორი კანონპროექტი, ერთი - მოსამართლეების თემაზე, მეორე - საპენსიო რეფორმაზე და ორივე შემთხვევაში კანონპროექტის ინიციატორებს ერთგვარი ულტიმატუმი ჰქონდათ წამოყენებული - ჩავარდნის შემთხვევაში უმრავლესობიდან ნასვლა. საპენსიო რეფორმის ინიციატორი ბექა ნაცვლიშვილი წინასწარვე დარწმუნებული იყო, რომ მისი პროექტი ჩავარდებოდა და აცხადებდა, რომ უმრავლესობის რიგებში ეს მისი ბოლო დღე იყო. მისგან განსხვავებით, ბესელიას ჯგუფი მხოლოდ იმას აცხადებდა, რომ ხუთშაბათს გამოჩნდებოდა, რა გზა აირჩია “ოცნებამ” - ხალხის გვერდით დგომა, თუ მისი ნების საწინააღმდეგოდ წასვლა. ყველაზე ცხარე დებატებიც სწორედ ბესელიას კანონპროექტის ირგვლივ გაიმართა, რაც “საერთო სასამართლოების შესახებ” კანონში ცვლილების შეტანას გულისხმობდა მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის 2025 წლამდე შეჩერების თაობაზე. ბესელიას მცირერიცხოვან ჯგუფს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა მთელმა ოპოზიციამ, მათ შორის პოლიტიკურმა მტერმა - „ნაციონალებმაც“. მიუხედავად ამისა, წინასწარ იყო ცნობილი, რომ ეს კანონპროექტი ჩავარდებოდა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც კენჭისყრის წინა დღეს ივანიშვილთან პოლიტსაბჭოს შეხვედრა შედგა და შემდეგ განცხადება გავრცელდა, რომ “ოცნება” კონსტიტუციის საწინააღმდეგო კანონპროექტს მხარს არ დაუჭერდა, ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ბესელიას მცდელობა განწირული იყო - ივანიშვილს ნების წინააღმდეგ წასვლას „ოცნებაში“ ბევრი ვერ გაბედავდა. უმრავლესობიდან ბესელიას მხარდაჭერა ღიად გამოუცხადა ე.წ. ნეიტრალური გუნდის დეპუტატების მხოლოდ ერთეულებმა, მაგალითად ნუკრი ქანთარიამ და ზაზა პაპუაშვილმა. სხვები კი, ძირითადად, მხოლოდ „ახლების“ ლიდერებისა და ბესელიას 3-კაციანი ჯგუფის ურთიერთლანძღვას ისმენდნენ.

ყველაზე მწვავე პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის გამოსვლა იყო, რომელსაც მოჰყვა კიდეც ბესელიას ჯგუფის დიდი გაღიზიანება. კობახიძემ ბესელია და მისი მხარდამჭერები „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ალიანსში დაადანაშაულა. ასევე უთხრა, რომ ერუდიცია არა აქვთ. “კანონპროექტის ტექსტი პირდაპირ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის ტექსტს. ჩვენ თუ გვაქვს პრეტენზია რაღაცაზე საქართველოს პარლამენტში პირველი კონსტიტუციიდან 98 წლის თავზე, პირველ რიგში უნდა გვქონდეს პრეტენზია ერუდიციაზე, კონსტიტუციის ტექსტის კითხვაზე და შესაბამისად, ამ პირობებში ამ კანონპროექტის მხარდაჭერა აბსოლუტურად დაუშვებელია. ბოლოს, პატარა პოლიტიკური გადახვევა მინდა. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ არის პოლიტიკური მოცემულობა, ეს კონსენსუსი ამ დარბაზში, რომელიც არის ჩამოყალიბებული უმრავლესობის რამდენიმე წევრსა და “ნაციონალურ მოძრაობას” შორის, მეტყველებს აბსოლუტურად ყველაფერზე,” - განაცხადა კობახიძემ, რის შემდეგაც შესვენება გამოცხადდა. სწორედ ეს „პოლიტიკური გადახვევა“ გახდა ეკა ბესელიას გაწიწმატების მიზეზი და მან კობახიძეს ჯერ ჟურნალისტებთან უპასუხა, შემდეგ კი სესიაზეც. “ჩვენ რომ “ნაციონალურ მოძრაობას” ვებრძოდით და ტყვიების ზუზუნში ვიდექით, ამ სიტყვების ავტორი გოგლი-მოგლს მიირთმევდა და ჭუჭრუტანიდან გვიყურებდა, გადავრჩებოდით თუ არა. გოგლი-მოგლზე გაზრდილი პატარა ბიჭები თავს უფლებას რომ აძლევენ და ასეთი ტონით ლაპარაკობენ, აი, ამის პასუხს მიიღებენ დღეს, ჩემს ბოლო დასკვნაში. ვინც თვლის, რომ ადამიანები, რომლებიც გუშინ დანაშაულს ჩადიოდნენ, დღეს გასხივოსდნენ, მორალურად ზუსტად იქ დგას, სადაც ის ადამიანები იდგნენ, ვისაც ვებრძოდით,” - განაცხადა ბესელიამ.

ბესელიამ წასვლის გარდა დააანონსა ისიც, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და მალე მოჰყვება ყველაფერს, რასაც “ოცნება” მორჩილი სასამართლოს შესაქმნელად აკეთებედა.”ოცნების” შიდაპარტიული ომის არენად გადაქცეულ პარლამენტის სხდომათა დარბაზში დაპირისპირებულმა მხარეებმა ბევრი ბრალდება წაუყენეს ერთმანეთს. “ახლების” გუნდმა ბესელიას 3-კაციან ჯგუფს “ნაციონალებთან” გარიგებაში დასდო ბრალი და უთხრა, რომ უცოდინრები არიან. ბესელიამ კი კობახიძესა და მის გარემოცვას “გოგლი-მოგლიზე გაზრდილი ბიჭები” უწოდა, რომლებიც ჭუჭრუტანიდან იყურებოდნენ მთელი 9 წლის განმავლობაში, როდესაც ბესელია და მისი მოკავშირეები “ნაციონალებს” ებრძოდნენ. მიუხედავად ამისა, ბესელიას ჯგუფი უკიდურეს უმცირესობაში აღმოჩნდა და ივანიშვილმა არჩევანი სწორედ “გოგლი-მოგლზე გაზრდილ” ბიჭებზე გააკეთა. ბესელიას 3-კაციანი ჯგუფი უმრავლესობის რიგებს დაემშვიდობა. უმრავლესობა ასევე დატოვა ბექა ნაცვლიშვილმა, თუმცა მან არა მოსამართლეების საკითხის, არამე საპენსიო რეფორმის შესახებ საკუთარი კანონპროექტის ჩავარდნის გამო.

დარბაზში დაბრუნების შემდეგ ბესელიამ თქვა, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ კოლეგებს შეურაცხყოფა მიაყენა, როცა ისინი დაადანაშაულა იმ პოლიტიკურ ძალასთან ალიანსში, რომელსაც რეალურად თავად იცავს მთელი ამ ხნის განმავლობაში. ამასთან, თქვა, რომ ის არასდროს თვლიდა კობახიძეს და მის თანამოაზრეებს იმ იდეალების ერთგულად, რის ირგვლივაც შეიკრიბნენ 2011 წელს. “ამ დარბაზში ბევრი ძალიან ღირსეული ადამიანია უმრავლესობაში და ყველას ჩემს პატივისცემას გიდასტურებთ იმათ გარდა, ვისაც მე არ ვთვლი, არასოდეს ვთვლიდი და არასოდეს ჩავთვლი, რომ ის არის იმ იდეალების ერთგული და იმ ღირებულებების დამცველი, რომლითაც არა მხოლოდ 2011 წელს შევიკრიბეთ, არამედ 2011 წლამდე ვიყავით ერთად,” - განაცხადა ბესელიამ. მისი თქმით, კობახიძე არ არის ამ პარლამენტის ღირსეული თავმჯდომარე, მან ვერ შეძლო ამ პარლამენტის ღირსების დაცვა. “ახლების” გუნდიდან მამუკა მდინარაძემ ბესელიას “ურჩია”, რომ სახე არ დაკარგოს. “რაც არ უნდა ხდებოდეს, როგორი ინტერესიც არ უნდა გქონდეს კონკრეტული საკითხების მიმართ, სახე არ უნდა დაკარგო,” - აღნიშნა მდინარაძემ. შესვენების შემდეგ კობახიძის ნაცვლად სესიის წაყვანა ზვიად ძიძიგურმა ჩაიბარა. ამ ფაქტმა დეპუტატების ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია.

ირმა ინაშვილმა “ახლების” გუნდი კენჭისყრის განზრახ გაჭიანურებაში დაადანაშაულა და დაიმუქრა, რომ 100 ადამიანს საპროტესტოდ გამოიყვანდა, თუ კენჭისყრა დროზე არ ჩატარდებოდა. ბესელიას ჯგუფმა კი თქვა, რომ კობახიძემ წასვლით რეგლამენტი დაარღვია და ჩიჩალაძე-მურუსიძესთან გაიქცა სეპარატისტულად მოლაპარაკებები რომ აწარმოოს. საგულისხმოა ის, რომ პარლამენტის სესიის პარალელურად პარლამენტშივე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებთან შეხვედრა მიმდინარეობდა, რომელსაც ირაკლი კობახიძე უძღვებოდა. შეხვედრა უვადოდ გასამწესებელი მოსამართლეების კრიტერიუმებისა და წესების განხილვას ეხებოდა. ლევან გოგიჩაიშვილმა თქვა, რომ კანონპროექტის განხილვის პარალელურად მოსამართლეებთან შეხვედრის გამართვა ძალიან ცინიკურია. “ძალიან ნიშანდობლივია და ძალიან ცინიკურია, როდესაც ასეთი სერიოზული საკითხის განხილვა მიმდინარეობს და პარლამენტის თავმჯდომარე ხვდება მურუსიძეს, ჩიჩალაძეს და გვრიტიშვილს. ეს არის ნიშანდობლივი და ყველაფერზე ხაზის გადასმა,” - განაცხადა გოგიჩაიშვილმა. ბოლოს კობახიძე მაინც დაბრუნდა დარბაზში და კენჭისყრა შედგა. 45 მომხრე, 17 მონინააღმდეგე - ბესელიას კანონპროექტი ჩავარდა. მმართველი გუნდიდან მხოლოდ 15-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი ინიციატივას.

ამ პროცესების შედეგად კი მმართველმა გუნდმა საკონსტიტუციო უმრავლესობა დაკარგა. 115-კაციანი უმრავლესობიდან კიდევ ერთი დეპუტატის, ბექა ნაცვლიშვილის გასვლის გამო, „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში 3/4-იანი საკონსტიტუციო უმრავლესობა დაკარგა.

დეპუტატების - ეკა ბესელიასა და ლევან გოგიჩაიშვილის შემდეგ, უმრავლესობიდან გასვლაზე განცხადება გააკეთა ბექა ნაცვლიშვილმა. შედეგად, “ქართულ ოცნებაში” 112 დეპუტატი დარჩა, რაც კონსტიტუციის ¾-ის უმრავლესობით მიღებისათვის არასაკმარისი რაოდენობაა, რადგან ასეთი კვორუმით კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელებას სულ მცირე 113 დეპუტატის ხმა სჭირდება.

ამასთან, ახალი კონსტიტუციით, მოქმედებს საკონსტიტუციო ცვილებების მიღების მეორე წესი, რომლის მიხედვით, საკონსტიტუციო ცვლილებები შეიძლება ხმათა 2/3-ის უმრავლესობით განხორციელდეს, თუმცა ასეთ შემთხვევაში, ის მას შემდეგ ამოქმედდება, თუ მომდევნო მოწვევის პარლამენტი მხარს დაუჭერს.

# „წყალი სიღარიბის აღმოსაფხვრელად“

2019 წლის 13-14 თებერვალს CENN, ევროკავშირისა და New World Program-ის მიერ დაფინანსებული პროექტების: „წყალი სიღარიბის აღმოსაფხვრელად“ და „საქართველოს WaSH (წყალი, სანიტარია და ჰიგიენა) სათემო ინიციატივა (GC-WaSH)“ ფარგლებში ჩატარდა მედია-ტური ეროვნული და რეგიონული მედია ჟურნალისტებისათვის, რომლის მიზანი იყო მედიის როლის გაზრდა ადამიანის უფლებების მიმართულებით წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხების გაშუქების პროცესში.

ორდღიანი ტურის ფარგლებში, პირველი დღე დაეთმო სასწავლო-შემეცნებით სესიას, რომელსაც ბულაჩაურის მწვანე ცენტრმა უმასპინძლა და აღნიშნულ სესიას დამოუკიდებელი ექსპერტი და იურისტი, მაკა ნუცუბიძე უძღვებოდა. ტრენინგის განმავლობაში, მონვეული ჟურნალისტები უკეთ გაეცნენ წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ადამიანის უფლების შინაარსს. ტურის მეორე დღეს, ჟურნალისტებმა მოინახულეს ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში არსებული ობიექტები, სადაც ყველაზე მწვავედ დგას WaSH პრობლემები, ასევე გაეცნენ ადგილზე არსებულ სხვა გამოწვევებს, შეხვდნენ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს და პროექტების ფარგლებში დაარსებულ WaSH საბჭოების წევრებს.

ორდღიანი ტურის შემდეგ, ჟურნალისტებს შეესაძლებლობა აქვთ მოამზადონ მედია პროდუქტები (სატელევიზიო სიუჟეტი, სტატია და სხვ.), მედია კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. გამარჯვებული მედია პროდუქტების ავტორები დაჯილდოვდებიან პრიზებით.

ინგა შიოლაშვილი

# ტექდათვალიერების შუქ-ჩრდილები

***15-წლიანი პაუზის შემდეგ ავტომობილების სავალდებულო ტექ-დათვალიერება აღდგა. თუმცა, ამჟამინდელ ტექნიკურ ინსპექტირებას არაფერი აქვს საერთო მაშინდელ "ტეხასმოტრთან", რომლის ყიდვაც ძალიან მარტივად შეიძლებოდა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, მანქანა არც მოწმდებოდა და აღნიშნულ საბუთს პირდაპირ ყიდულობდით. ამჯერად ტექდათვალიერება უსაფრთხოებისა და გარემოს დაბინძურების პარამეტრებს ამოწმებს, როგორც ეს უნდა იყოს კიდეც. ამ სიახლით საქართველომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ევროპისკენ და ვიმედოვნებთ, რომ ეს მიმართულება კიდევ უფრო ძლიერი და მკაცრი გახდება.***

მე იმ ბედნიერ ავტომფლობელთა რიცხვს ვეკუთვნი, ვისმა ავტომობილმაც ტექდათვალიერება წარმატებით გაიარა. თუმცა, ბევრი ადამიანი, მათ შორის პროფესიონალი მძღოლები, მის მიღმა აღმოჩნდნენ. **რა ხდება, რატომ ამბობს ხალხი, რომ ტექინსპექტირება გართულებულია?**

გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა დედოფლისწყაროელი მძღოლების განწყობით.

ზურა, 42 წლის: „მე ჯერ არ ვიცი, გაივლის თუ არა ჩემო ავტომანქანა ტექდათვალიერებას, მაგრამ ვთვლი, რომ ეს დროული და საჭირო პროცედურაა. უამრავი ავტოსაგზაო შემთხვევა ხდება, რომლის მიზეზიც ხშირად გაუმართავი ტრანსპორტია. ავარიებს კი ეწირება ადამიანთა სიცოცხლე, მათ შორის ბავშვებისაც“...

თენგიზი, 50 წლის: „ტექდათვალიერება ყველა სახის ტრანსპორტმა უნდა გაიაროს, განსაკუთრებით მათ, ვისაც ადამიანთა სიცოცხლე და უსაფრთხოება აბარია“.

ასე არ ფიქრობენ ე.წ. ტაქსის მძღოლები. მათი აზრით, ტექინსპექტირება ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი წყაროა, ხოლო ზოგიერთისთვის ახალი ბიზნესის დაწყების საშუალება. არავისთვისაა ახალი ინფორმაცია, რომ დღევანდელი ავტოპარკის უდიდესი ნაწილი საკმაოდ მოძველებულია. მისი გარკვეული ნაწილი ტექდათვალიერების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და საჭირო საბუთის მისაღებად ავტომფლობელებს მანქანის შეკეთება, ახალი ნაწილების ყიდვა უწევთ.

ბიძინა, 55 წლის: „იმისთვის, რომ მანქანა მწყობრში მომეყვანა და ტექდათვალიერების ყველა პირობა დამეკმაყოფილებინა, 400 ლარი დავხარჯე, რაც ჩემი ბიუჯეტისთვის დიდი დარტყმაა. შექმნილი სიტუაციით სარგებლობენ ის ცენტრები და ხელოსნები, ვისაც ავტომფლობელები აკითხავენ. ასე, მაგალითად, ნაწილში, რომელიც ბაზარზე 20 ლარი ღირს, რადგან დროში „ვიწვებოდი“, 70 ლარად მომყიდეს. მე არ ვამბობ, რომ მანქანა გაუმართავი უნდა იყოს, მაგრამ ამ მომსახურებით მას ის ნაკლი არ გამოუსწორდა, უბრალოდ, დროებით მოუწესრიგდა. ჩემი ავტოტრანსპორტი კი გაივლის ინსპექტირებას, მაგრამ მანქანას პრობლემა არ მოუგვარდება. ჩემს დღეში ძალიან ბევრი ავტომფლობელია“.

„გამოსავალი ყველა სიტუაციიდან არსებობსო“, ნათქვამია და ქართველმა მძღოლებმაც, რომლებიც ტექინსპექტირების პირველ ეტაპზე ნიჰილიზმმა შეიპყრო, ახლა იმედიანად გრძნობენ თავს. მართალია, ზოგი კვლავ წუწუნებს გრძელი რიგებისა და გართულებული მოთხოვნების გამო, მაგრამ ეს ის კატეგორიაა, ვისაც ახალი გამოსავლის შესახებ ჯერ არაფერი სმენია.მოკლედ, ტექდათვალიერებამ ბიუჯეტის შევსების გარდა, კერძო ადამიანების ჯიბეზეც „იზრუნა“, განსაკუთრებით მათზე, ვინც იდეების დეფიციტს არ უჩივის.

დღეს ხშირად მოკრავთ ყურს იმაზე საუბარს, რომ ტექდათვალიერებისთვის მანქანის ნაწილებს ნათხოვრობენ. ამბობენ იმასაც, რომ ფარულად ავტონაწილების გაქირავებაც კი ხდება. თუმცა, ეს არის ყველაზე ცუდი გადაწყვეტილება, რაც ამ შემთხვევაში ადამიანმა შეიძლება მიიღოს. ბევრის დამოკიდებულება მარტივია- მერე რა, თუ სხვისი, დროებით სარგებლობაში მყოფი ნაწილებით ინსპექტირებაგავლილი მანქანა, კვლავ გაუმართავი დარჩება, მთავარია, მას ექნება საშვი, რათა თავისუფლად იაროს საქართველოს გზებზე და შესაბამისი უწყებისგან პრობლემა არ შეექმნას, თორემ ვინ ჩივის, თუ სამუხრუჭე სისტემა კვლავ უღალატებს, ანდა გაცვეთილი საბურავი პრობლემას შეუქმნის...

**ეს ძველი, საბჭოთა დამოკიდებულებაა და არაფერი აქვს საერთო ევროპულ ღირებულებებთან, სადაც ტყუილი და სხვისთვის პრობლემის შექმნა დანაშაულია და არაგამოსავალი!**

ინგა შიოლაშვილი

**გთავაზობთ რჩევებს, რომელთა გათვალისწინებითაც თქვენ ტექ-დათვალიერებას პირველივე ცდაზე გაივლით.**

- **რა მოწმდება ავტომობილის ტექნიკური ინსპექტირებისას:**

ინსპექტირება უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს: სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაცია; სამუხრუჭე სისტემა; საჭით მართვის სისტემა; ხილვადობა; ფარები, შუქამრეკლები და ელექტრომოწყობილობა; სავალი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობა, საბურავების პროტექტორის დონე და მდგომარეობა, დაკიდება; შასი და მისი შემადგენლები; ავტომობილის ქარხნული მაკომპლექტებელი მოწყობილობები სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი (ფარები, სარკეები, მოხვევის მაჩვენებლები ა.შ.); სასურველია, თუ ამ ელემენტების გამართულობის შესახებ ინფორმაცია წინასწარ გეცოდინებათ და ტექდათვალიერებაზე მშვიდად მიხვალთ. ასე დამატებითი ხარჯებისა და ნერვიულობისგან დაზღვეული იქნებით.

- **გადატანილსაჭიანი ავტომობილების ინსპექტირება:**

გადატანილსაჭიანი ავტომობილები ისევე გაივლიან ტექნიკურ ინსპექტირებას, როგორც სხვა ნებისმიერი, თუ ისინი ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ პარამეტრებს დააკმაყოფილებენ. თუ საჭე გადატანილია 2018 წლამდე, მაშინ დადგენილი წესით ჩაუტარდება ინსპექტირება და იდენტიფიკაციის ნაწილში აუცილებელია საჭის მდებარეობა ემთხვეოდეს. ინსპექტირების დაწყების ეტაპიდან კი საჭის გადატანა აიკრძალა.

- **მარჯვენასაჭიანი ავტომობილების ინსპექტირება:**

მარჯვენასაჭიანი ავტომობილებისთვისაც სტანდარტულად ტარდება ტექინსპექტირების პროცესი. უბრალოდ, მათ პროცედურის გავლამდე, მაშუქი ფარების დახრილობისა და სინათლის ნაკადის მიმართულების კორექტირება მოუწევთ. აღიშნული მომსახურება 80 ლარამდე ღირს.

- **გაზზე მომუშავე ავტომობილების ინსპექტირება:**

ინსპექტირების ცენტრმა უნდა აწარმოოს ავტოსატრანსპორტო საშუალება-ზე დამონტაჟებული აირბალონიანი მოწყობილობის შესაბამისობის შეფასება “ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე აირბალონიანი მოწყობილობის განთავსების, ტექნიკურ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის შეფასების და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე”.

- **ვინ უნდა მიიყვანოს ავტომობილი ტექდათვალიერებაზე:**

ინსპექტირების ჩასატარებლად სატრანსპორტო საშუალება შეიძლება წარადგინოს როგორც მესაკუთრემ, ასევე მის მიერ უფლებამოსილმა პირმა. ამისთვის რაიმე დამატებითი დოკუმენტის წარდგენა საჭირო არაა.

- **სად გავიაროთ ტექდათვალიერება?**

ქვეყნის მასშტაბით ტექდათვალიერების რამდენიმე პუნქტი არსებობს. მიუხედავად ამისა, ავტომფლობელებს ხშირად რიგში დგომა უწევთ. ამიტომ უმჯობესია, თუ წინასწარ ჩაეწერებით ტექდათვალიერებაზე და თქვენთვის სასურველ დროს მიხვალთ ტექდათვალიერების ცენტრში.

თუმცა, იმისათვის, რომ ტექდათვალიერების პუნქტში თქვენი ვიზიტი უშედეგო არ გამოდგეს და ინსპექტირების გავლა გარანტირებულად შეძლოთ, უმჯობესია, თუ ავტომობილის გამართულობაში წინასწარვე დარწმუნდებით. ამრიგად, მიიღებთ დეტალურ ინფორმაციას ავტომობილის მდგომარეობასთან დაკავშირებით, წინასწარვე გეცოდინებათ პრობლემის შესახებ და ტექდათვალიერების თარიღისთვის სრულად მოამზადებთ ავტომობილს.

ამისთვის კი არსებობს სერვის ცენტრები სადაც შესაძლებელია ავტომობილის წინასწარ იგივე კრიტიერიუმებით შემოწმება რაც მოითხოვება სა-ხელმწიფო ტექ. დათვალიერების გავლისას, მაგალითისათვის ერთ-ერთი ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი „თეგეტა მოტორსის“ სერვისია, რომე-ლიც ერთ სივრცეში სხვადასხვა პარამეტრის შემოწმებას გულისხმობს.

„თეგეტას“ ცენტრალურ ოფისში ავტომობილს შემდეგ პარამეტრებზე შეგიმოწმებენ:

- საერთო ვიზუალის დათვალიერება
- გამონაბოლქვი
- სავალი ნაწილის მდგომარეობა
- საბურავის ნახარის კუთხე
- ხიდების მიხედვით, მუხრუჭების პროცენტული სხვაობა, მხარეებს შორის
- ხელის მუხრუჭის ეფექტურობა
- საერთო მუხრუჭების ეფექტურობა, მასასთან მიმართებაში
- მაშუქების ფუნქციონალურობა-ვიზუალური შემოწმება
- სავალი ნაწილის შემოწმება

ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში პრობლემა შეგიძლიათ ადგილზევე მოაგვაროთ. შედეგად კი შეძლებთ, ლიცენზირებულ სერვის-ცენტრებში ტექ-დათვალიერება პირველივე ცდაზე გაიაროთ და პირველ მისვლაზე პრობ-ლემის აღმოჩენის შემთხვევაში შემდეგ მისი ფორსმაჟორულ სიტუაციაში გამოსწორება არ მოგიწევთ.

# როცა უკვე დავკარგავთ, მერე ვნანობთ

## „ხშირად ირღვევა მცენარის კვების, განსაკუთრებით აზოტით კვების რეჟიმი, რის შედეგადაც პროდუქციაში გროვდება ჭარბი ოდენობით ნიტრატული აზოტი“

იმ ნგრევას, რასაც თავისუფლების სახელით უამრავი რამ თან გავატანეთ კომუნისტური რეჟიმის სიძულვილის მოტივით, ერთ-ერთი ქალაქ დედოფლისწყაროში, 9 აპრილის და ალადაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე ნიადაგის ნაყოფიერებისა და აგროქიმიური სამსახურის ლაბორატორიაც გახლავთ. ზოგადად კი, უზარმაზარი ორგანიზაციები, შენობა-ნაგებობები აგურ-აგურ, ჩარჩო-ჩარჩო დაიშალა, გაიძარცვა, გაიყიდა, გაპარტახდა, რამაც ქვეყნის ეკონომიკა ათწლეულობით უკან დასწია. არადა, ამ გადასახედიდან, ურემი რომ გადაბრუნდა და გზა გამოჩნდა, ვფიქრობთ, რამდენი რამ შეიძლებოდა შეგვენარჩუნებინა ჩვენივე სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ. ერთ დროს ქვეყნის გამომკვებავი და „პურის ბელელად“ წოდებული ჩვენი შირაქი დაიჩეხა, დანაწევრდა, ზოგს საქმის მცოდნე, ზოგს კი დილეტანტი ადამიანები დაეპატრონნენ და ყოველგვარი მითითების და რეკომენდაციების გარეშე წლობით ისე ამუშავებენ მიწებს, როგორც მათ მიაჩნიათ, ან ხელი მიუწვდებათ. მიწები გაღარიბდა, ნაყოფიერებამ იკლო, თუ არ ჩავთვლით საუკეთესო ამინდური პირობების დროს გრანტებით და ევროპული ცოდნით აღჭურვილი, ერთეული ადამიანები მაღალ მოსავალს რომ ღებულობენ. მათ ასობით ჰექტარი აქვთ მფლობელობაში, რაც კვლავწარმოების საშუალებას იძლევა ,მაგრამ მცირემიწიან გლეხებს ვერ დაუძლევიათ, გააუმჯობესონ ტექნოლოგიური პროცესები, რადგან არც ეკონომიკურად მიუწვდებათ ხელი მაღალი კლასის ტექნიკაზე და არც გამოცდილების გაზიარების მიზნით საზღვარგარეთ გამგზავრება შეუძლიათ. ასეთ დროს, ძირითადად, თხა გავყიდე, თხა ვიყიდეს ვარიანტში ტრიალებენ. მრავალგზის მოწოდების მიუხედავად, ვერც კოოპერატივების შექმნის იდეამ გაამართლა. ადამიანებს ურთიერთნდობა აღარ აქვთ, პატიოსნებამ ღირსება დაკარგა და ასე, ჯახირ-ჯახირით გადის დრო, ერთმანეთს ელვის სისწრაფით მიჰყვება წლები. ჩვენ კი, ვერა და ვერა, ვერ ამოვედით გაჭირვებისა და სიღარიბისაგან. ეს საუბარი შორს წაგვიყვანს, რადგან იმდენი პრობლემით არის დახუნძლული ჩვენი ცხოვრება, რომ სათქმელს ვერ ამოვწურავთ. უმჯობესია, დავუბრუნდეთ თემას, რომლითაც წერილი დავიწყეთ – ნიადაგის ნაყოფიერებისა და აგროქიმიური ლაბორატორია. ეს იყო დაწესებულება, რომელსაც ძალიან დიდი როლი ჰქონდა სოფლის მეურნეობაში. ამ საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით ***ლაბორატორიის ყოფილ გამგეს, აგროქიმიკოს-ნიადაგმცოდნეს*** ირა გაიპარაშვილს, რომელიც 20 წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა ამ ლაბორატორიას.

**– ქალბატონო ირა, რა სამუშაოებს ასრულებდა თავის დროზე თქვენი ლაბორატორია და რა მდგომარეობაა დღეს ამ კუთხით?**

– ლაბორატორია 1985 წელს დაარსდა. იგი აღჭურვილი იყო იმ დროისთვის ყველაზე ახალი და თანამედროვე აპარატურით და მთელი წლის განმავლობაში სრული დატვირთვით მუშაობდა. აქ ხდებოდა ნიადაგების და მცენარეების დიაგნოსტიკური გამოკვლევა რაიონის მთელ ტერიტორიაზე, რის შემდგომაც გაიცემოდა სათანადო რეკომენდაციები, რომელი სასუქები ესაჭიროებოდა ამა თუ იმ ნიადაგს და რა დოზით. განისაზღვრებოდა ვადები. იღებდა საჭირო ზომებს მომსახურე ზონაში სასუქების ბალანსირებული გამოყენებისათვის, რაც ნიტრატებისაგან სუფთა პროდუქციის მიღების ერთ-ერთი გარანტია იყო. ხდებოდა საშემოდგომო თავთავიანი კულტურების დიაგნოსტიკა, თუ მცენარე რამდენად უზრუნველყოფილი იყო აზოტით. საჭიროების შემთხვევაში გაიცემოდა რეკომენდაცია, თუ რამდენ აზოტს საჭიროებდა მცენარე სუფთა მოქმედ ნივთიერებებში გადაყვანით. აგრეთვე, სისტემატურად ხდებოდა შემოწმება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში ნიტრატების და პესტიციდების არსებობის და მათი რაოდენობის შესახებ. თუ დაბინძურებულ პროდუქტს აღმოვაჩენდით, განადგურებას ექვემდებარებოდა. ამას წინ არაფერი ედგა, რადგან კანონი გვიმაგრებდა ზურგს. ამიტომ, კოლმეურნეობები მაქსიმალურად ცდილობდნენ, ნორმები არ დაერღვიათ. მახსოვს, ერთხელ ქვემო ქედის კოლმეურნეობას 100 ტონაზე მეტი ხორბლის გაუქმება მოუწია. დიდი ამბავი იყო, რაიკომის ბიუროზე გაიტანეს საკითხი და თავმჯდომარიდან დაწყებული აგრონომი და ბრიგადირიც კი დასაჯეს. მაშინ კონტროლი და დისციპლინა სისტემურად იყო აწყობილი, გამონაკლისი ყოველთვის ხდება, მაგრამ, როცა სახელმწიფოებრივი მაკონტროლებელი მექანიზმი აღარ არსებობს, ნორმების დაცვა გართულდა, აღარ არსებობს ნიადაგის დამუშავების, თესვის, სათესლე მასალის დამუშავების, მოსავლის აღების ვადების ერთიანი კრიტერიუმი, ვისაც როგორ მოუხერხდება, ისე იქცევა. ქარსაფარების გაჩეხვამ და მიწების გადაწვამ ხომ დიდი უარყოფითი გავლენა იქონია, კერძოდ, გამოიწვია ნიადაგების დეგრადაცია. ამას ემატება სასუქების უსისტემო გამოყენება. არავინ იცის, რომელი და რამდენი სასუქი ესაჭიროება ამა თუ იმ ნიადაგს. ზოგგან მეტი შეაქვთ, ზოგგან – ნაკლები. აგრომაღაზიებში გამყიდველიდან მიღებულ კონსულტაციებსა და რჩევებზე არის მიწათმოქმედთა უმრავლესობა დამოკიდებული. მიწის კატეგორიებიც კი აღარ არსებობს. მწირი და ნაყოფიერი მიწები გათანაბრებულია, მიწის ქირაც ერთნაირი ნიხრით გაიწერება, რაც, მსუმბუქად რომ ვთქვათ, არასამართლიანია. სწორედ უგეგმურად გამოყენებული სასუქების და ჰერბიციდების გამოყენება არის მიზეზი იმის, რომ საკვებ პროდუქტებში იმატა ნიტრატების და პესტიციდების რაოდენობამ, სანთლით საძებარი გახდა ნატურალური პროდუქტები. სოფლის მეურნეობის დარგის უდიდესი მნიშვნელობა კი მდგომარეობს იმაში, რომ ის იძლევა ადამიანის კვებისთვის საჭირო მაღალკვებითი ღირებულების პროდუქტებს.

**– როგორ გარდაიქმნება სასუქები მავნე ნივთიერებებად და რა ზიანი მოაქვთ მათ ადამიანის ჯანმრთელობისათვის?**

– მცენარე საკვები ელემენტების უმეტესობას ნიადაგიდან ითვისებს. თითოეულ მათგანში ერთ-ერთ გარკვეულ როლს, ძირითადად, აზოტი ასრულებს. ნიადაგში აზოტის შემცველობა განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო კულტურებში კულტურათა მოსავლიანობას და ხარისხს – აზოტი შედის ყველა მარტივი და რთული ცილების შემადგენლობაში. მას შეიცავს, აგრეთვე, ნუკლეინის მჟავეები, რომელსაც ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აზოტის გარეშე არ წარმოიქმნება ცილა, ცილის გარეშე კი არ არსებობს სიცოცხლე.

ნიადაგიდან მცენარის მიერ შეთვისებული აზოტის მინერალური ფორმები, მათ შორის ნიტრატული, მცენარეში განიცდის რთულ გარდაქმნებს, რის შედეგად მიიღება აზოტიანი ორგანული ნაერთები, რომლის საბოლოო პროდუქტი ცილაა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური სამუშაოების შესრულებისას ხშირად ირღვევა მცენარის კვების, განსაკუთრებით აზოტით კვების რეჟიმი, რის შედეგადაც პროდუქციაში გროვდება ჭარბი ოდენობით ნიტრატული აზოტი. ადამიანის და ცხოველის ორგანიზმში მოხვედრილი ნიტრატები, კუჭ-ნაწლავის მიკრორგანიზმთა მეშვეობით, ნიტრიტებამდე აღდგება, რაც გაცილებით ტოქსიკურია, ვიდრე ნიტრატი. ნიტრატები ურთიერთმოქმედებენ რა სისხლის ჰემოგლობინთან, წარმოქმნიან მეტ ჰემოგლობინს, რის შედეგადაც სისხლს ვერ გადააქვს ჟანგბადი ფილტვებიდან ქსოვილებში ე.ი. ჭარბი რაოდენობით დაგროვილი ნიტრატები სისხლს უკარგავს მის ერთ-ერთ მთავარ ბიოლოგიური ფუნქციას. მეტი ჰემოგლობინი განსაკუთრებით საშიშია ბავშვებში. ბავშვებში მეტჰემოგლობინი და აქედან გამოწვეული მძიმე დაავადება პირველად 1945 წელს აღინიშნა. მიზეზი იყო სასმელ წყალში ნიტრატების მაღალი შემცველობა. ადამიანის ორგანიზმში ნიტრატების ჭარბი რაოდენობით დაგროვება ავთვისებიანი სიმსივნების განვითარებას იწვევს.

ადამიანის მიერ ნიტრატის მიღების დღე-ღამურ ნორმად დადგენილია 200-300 მგ ნიტრატი. ადამიანი დღე-ღამის განმავლობაში მიღებული ნიტრატების საერთო ჯამიდან 70% ღებულობს ბოსტნეული პროდუქტებიდან.

აღსანიშავია, რომ ცხოველთა საკვებში ჭარბი რაოდენობით მოხვედრილი ნიტრატები გავლენას ახდენენ ცხოველთა ორგანიზმზე. იგი გადადის მეცხოველეობის პროდუქციაში, განსაკუთრებით რძეში და იქიდან კი ხვდება ადამიანის ორგანიზმში.

ნიადაგში აზოტოვანი სასუქის არარაციონალური შეტანა იწვევს არა მარტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნიტრატებით დაბინძურებას, არამედ მოქმედებს ბიოსფეროზეც.

მრავალი გამოკვლევის საფუძველზე დადგენილია რიგი ფაქტორებისა, რომლებიც განაპირობებენ მცენარეში ნიტრატების ჭარბი რაოდენობით დაგროვებას, ასეთებია: მცენარის თესვის და დარგვის ვადა, კლიმატური პირობები, აგროტექნიკის ფონი, ნიადაგში აზოტისა და ორგანული ნივთიერებათა შემცველობა, აზოტიანი სასუქების ფორმები, მათი შეტანის დოზები, ვადები და წესები, მოსავლის აღების ვადა, პროდუქციის შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგია.

გაზაფხული კარზე მოგვადგა. სულ მალე ინტენსიურად დაიწყება სასუქების და ჰერბიციდების შეტანა და კვლავაც ვრჩებით ურთიერთგამოცდილების გაზიარების და აგრომაღაზიების მფლობელთა კონსულტაციების იმედად, რადგან ჩვენ აღარ გვაქვს ნიადაგის ნაყოფიერების და აგროქიმიური ლაბორატორია, სადაც ანალიზს გავუკეთებთ როგორც ნიადაგს, ასევე მცენარეს და ვერ მივიღებთ რეკომენდაციას, რა სჭირდება მათ და რამდენი. ოდესღაც სრულყოფილი ლაბორატორიის გადარჩენისათვის ბევრი იბრძოლა ქალბატონმა ირამ, მაგრამ ამაოდ. ლაბორატორია გაიძარცვა, აღარ შერჩა აღარც კარი, აღარც ფანჯარა, აღარც ჭერი, დგას ჩამონგრეულ-ჩამოჟამული კედლები, შიგნით სიბინძურის დიდი კერაა და ზაფხულში საქონელი აფარებს თავს. აი, ასე განადგურდა ეს ჩვენი რაიონისათვის მნიშვნელოვანი ობიექტი, რომლის აღდგენის შესაძლებლობა ნოლის ფარგლებშია და არც ამ დონის ლაბორატორიის დაარსების პერსპექტივა არსებობს იმის მიუხედავად, რომ მის აუცილებლობასა და საჭიროებაზე ყველა თანხმდება – გლეხებიც, მსხვილი ფერმერებიც, ჩინოსნებიც და მაღალჩინოსნებიც. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ეს ლაბორატორია ჩვენთან კვლავ ფუნქციონირებდეს, რა დატვირთვა ექნებოდა მას მთელი რეგიონის ფარგლებში! თუმცა, მხოლოდ მონდომება უნდა ისეთი მარტივი ლაბორატორიის დაარსებას, სადაც ჩატარდება დიაგნოსტიკა, რითაც განისაზღვრება ,რამდენს საჭიროებს ნიადაგი აზოტით გამოკვებას, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში ნიტრატების რაოდენობის შემოწმება, მარცვლეულ კულტურაში ნაგვიანობის, ტენიანობის, წებოგვარის, იდკ-ას და გუდაფშუტის განსაზღვრა. წერილს დავამთავრებ იმ ფრაზით, რითაც დავიწყე – როცა უკვე დავკარგავთ, მერე ვნანობთ. სამწუხაროა, რომ ასეთი საანებელი უამრავი გვაქვს, რადგან ქაოსისა და უპატრონობის ათწლეულებში ბევრი რამ დავანგრიეთ უაზროდ, უსულგულოდ და პირად ინტერესებზე მორგებით.

ნაირა გორაშვილი

# სადავო რძის პროდუქტები

## „ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება ჩვენი ინტერესია და არა — კაპრიზი!“

***დედოფლისწყაროს სოფელ არხილოსკალოში მდებარე ერთერთ პოპულარულ რძის მწარმოებელ კომპანია „შირაქს“ უხარისხო და ჯანმრთელობისთვის მავნებელი პროდუქტების რეალიზებაში ადანაშაულებენ. უკვე ერთი თვეა, დედოფლისწყაროში მოქმედი ყველაზე წარმატებული საწარმოს ირგვლივ ბრალდებები ისმის. პრესაში აქტიურად მსჯელობენ იმაზე, რომ მათ მიერ რძის პროდუქტების წარმოებაში გამოყენებული პალმის ცხიმი საზიანოა ჯანმრთელობისთვის. თავად „შირაქის“ დამფუძნებელი ნიკოლოზ ბენიაიძე გაზეთ „შირაქთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ადასტურებს, რომ პალმის ცხიმს ნამდვილად იყენებს, თუმცა, ამტკიცებს, რომ მისი შემცველობა დასაშვებ ნორმაზე 4-ჯერ უფრო ნაკლებია. მისი თქმით, სტანდარტის მიხედვით, 2 გრამამდე პალმის ცხიმი დასაშვებია, „შირაქი“ კი მხოლოდ 0,5 გრამს იყენებს, ეს კი საზიანო სულაც არ არის. კომპანიის მოსახელე გაზეთი შეეცადა ბრალდებები და არგუმენტები მოესმინა.***

„შირაქის“ პროდუქტები, მრავალი წელია, ნდობით სარგებლობს დედაქალაქის ბაზარზე, ამიტომაც ბოლო წლებში საწარმო ძალზე განვითარდა, გაზარდა როგორც ასორტიმენტი, ისე სავაჭრო წერტილების ოდენობა. ბოლო წლებში მისი ხელმძღვანელი ნიკოლოზ ბენიაიძე აქცენტს მუდმივად ბიო რძის წარმოებაზე აკეთებს და სხვადასხვა ტელეარხებზე გამოსვლისას გამუდმებით ნატურალური და ჯანსაღი პროდუქციის პოპულარიზაციას ახდენს.

ერთერთ პოპულარულ გაზეთ „ასავალ-დასავალში“ თავდაპირველად სამი გვერდი დაეთმო სტატიას, სადაც საუბარია იმაზე, რომ „შირაქის“ წარმოებულ ყველს არაფერი აქვს საერთო რძის პროდუქტებთან და მომხმარებელი მოტყუებული რჩება, რის გამოც მათ ჯანმრთელობას ზიანი ადგება. გაზეთში რამდენიმე ექიმი საუბრობს, რომ „შირაქის“ პროდუქტები პალმის ცხიმს შეიცავს და ეს ეტიკეტზეცაა მითითებული. მათი მტკიცებით, პალმის ცხიმის სიმსივნის გამომწვევი ბიოლოგიური იარაღი, რომელსაც ყველად ასაღებენ. მანამდე ექიმ ჯაბა ტყემალაძის ვრცელი ინტერვიუ გამოქვეყნდა გასული წლის 29 ოქტომბრის ნომერში, რის გამოც „შირაქმა“ გადაწყვიტა, სასამართლოში უჩივლოს გაზეთს და იქ ხსენებულ ექიმს.

„სჯობია, ლენინგრადის ბლოკადაში იყო და ვირთხას ჭამდე, ვიდრე ისეთ სტრესულ გარემოში ცხოვრობდე, სადაც კანონიერად გვკლავენ და სიმსივნის გამომწვევ პალმის ცხიმის შემცველ პროდუქტებს გვასაღებდნენ. მოუხდის კი „შირაქი“ ბოდიშს იმ ადამიანებს, რომლებიც ხვალ რიგში დადგებიან ონკოლოგთა კაბინეტებთან ქიმიოთერაპიის ჩასატარებლად, ან ჯანდაცვის სამინისტროს მოსაცდელში ოპერაციის დასაფინანსებლად?,“ – ამბობს ექიმი ჯაბა ტყემალაძე.

იგივე ბრალდებები და საკმაოდ მწვავე სტატია გამოქვეყნდა შემდეგ ნომერშიც, სათაურით: „შირაქი“ სასამართლოში მიცოცავს“, „ძროხა პალმის ცხიმს არ იწველება“. მასალაში საუბარია იმაზე, რომ პალმის ზეთის მოხმარება აკრძალულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროკავშირის 8 ქვეყანაში, სკანდინავიის ქვეყნებში, ევროპულ პროდუქციაზე ხშირადაა მითითება: „პალმის ცხიმის გარეშე!“. აქვე სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ანა გემაზაშვილი საუბრობს, რომ ვინაიდან „შირაქის“ ყველის სახეობები „იმერული ჭყინტი“ და „იმერული სახაჭაპურე“ პალმის ზეთს შეიცავს, ეს პროდუქტი ყველი არ არის!“

***„შირაქს“ კანონი არ დაურღვევია, რადგან მწარმოებელს უფლება აქვს ბაზარზე გაყიდოს მცენარეული ცხიმის შემცველი პროდუქტი, თუმცა, მას რძის ნაწარმის სახელწოდებას ვერ დაარქმევს. მაგალითად: ყველს, კარაქს, სულგუნს... თუ იყიდება პროდუქტი, რომელიც საღ რძესთან ერთად მცენარეულ ცხიმსაც შეიცავს, თუნდაც მცირე ოდენობით, არ აქვთ უფლება დააწერონ რძის ნაწარმის დასახელება. 2019 წლის 1 მარტიდან ამოქმედდება 301-ე დადგენილება, რომელიც მწარმოებელს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის საშუალებას არ მისცემს. იგივე დადგენილება განსაზღვრავს, რომ ინფორმაცია წვრილი შრიფტით არ იყოს,“*** — ამბობს სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი, სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ანა გემაზაშვილი.

პალმის ცხიმის მავნებლობაზე საუბრობს პროფესორი ზურაბ ქუმსიაშვილიც: „თუკი ყველში, ან რომელიმე სხვა რძის პროდუქტში პალმის ზეთის თუნდაც მცირე შემცველობა ფიქსირდება, მომხმარებელი სასტიკად მოტყუებულია!... საფრანგეთში რომელიმე მწარმოებელმა პალმის ზეთი რომ შეიტანოს, მაშინვე განგაშს ატეხენ ცენტრალური ტელევიზიები, რაც მის ბიზნესს გააკოტრებს. აუცილებელია ჩვენს ქვეყანაში არამარტო პალმის ცხიმის, არამედ ამ კომპონენტის შემცველი პროდუქტების შემოტანაც მკაცრად აიკრძალოს. ქართველი ხალხის წინაშე არანაკლებ დამნაშავენი არიან ის ინსტიტუციებიც, რომლებიც პალმის ზეთის მავნებლობის შესახებ მოსახლეობამდე ინფორმაციის მიტანას ხელს უშლიან,“ — ამბობს ზურაბ ქუმსიაშვილი.

კომპანია „შირაქში“ ამბობენ, რომ მცენარეული წარმოშობის ცხიმებით მათი პროდუქციის მხოლოდ 10% იწარმოება. ისინი არ იზიარებენ ბრალდებებს, თითქოს ეს შემცველობა ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობისთვის საზიანოა. ისინი აქცენტს იმ გარემოებაზე აკეთებენ, რომ მათთვის პრიორიტეტულია ბიო წარმოების განვითარება.

ნიკოლოზ ბენიაიძე ***(„შირაქის“ დამფუძნებელი):*** „პირველ ეტაპზე „ასავალ-დასავალის“ რედაქციას სიმართლის დაწერა ვთხოვე და ახლა ვნახოთ, თანხის მოთხოვნის საფუძველი და საბუთებიც მაქვს, მაგრამ, ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება, საბოლოოდ ჯერ არ გადამიწყვეტია... დეტალები არ ვიცი, სარჩელი ჩვენმა იურისტმა შეიტანა. თავიდანვე ეგ მინდოდა, რომ სწორი ინფორმაცია გაევრცელებინათ... აქ უფრო სხვა ძალები იკვეთება, ვისაც საქართველოში ადგილობრივი წარმოების განვითარება არ აწყობს. გაზეთს იმ შეცდომაზე შეეძლო ორი სიტყვით ბოდიში მოეხადა და ყველაფერი ცივილურად დასრულდებოდა. ჩემი, თუნდაც ის ფხვნილის პროდუქცია, ევროსტანდართან მიმართებაშიც და ჩვენს კანონთანაც პირნათელია. 4-ჯერ ნაკლები გვაქვს. პალმის ზეთი არაა საშიში, ზეთში არსებული ტრანს ცხიმი, ანუ ტრანს იზომერი, რომელიც 100 გრამში 2 გრამზე მეტი არ უნდა იყოს, ჩვენს შემთხვევაში 0.5 გრამია. მოკლედ, ეს სპეციფიკაა და სიზუსტეს საჭიროებს. არა მარტო ბიოს გარდა, ნედლი ნატურალური და ფხვნილიც გვაქვს და ეს ყველაფერი ეტიკეტირებული და უსაფრთხოა. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, მე მაინც ვრჩები ქვეყანაში ფხვნილის და ცხიმების იმპორტიორების მოწინააღმდეგე. ეს კი იმიტომ, რომ ჩვენი ასოციაცია აქტიურად აშენებს ფერმებს და ყველანაირად ვცდილობთ, ჩავანაცვლოთ ნედლი რძით, თუ სახელმწიფო ხელს შეგვიწყობს.

უხარისხო პროდუქციის წარმოებას ჩვენ ნამდვილად ვერ დაგვაბრალებენ. რადგან, ყველას კარგად ახსოვს, რომ სწორედ „შირაქია“ ინიციატორი იმ კანონის გამკაცრების, სადაც პროდუქციაში ფხვნილი და მცენარეული ცხიმი იქნებოდა, ამ ნაწარმს არ დარქმეოდა რძის პროდუქტი. არათუ მივესალმებით ამ პროცესს, არამედ, ჩვენ მოვითხოვეთ, ამ ფორმით გამკაცრებულიყო სახელმწიფოს მიდგომა. ასევე, პირველი ბიო ფერმა ჩვენია და ამ ფხვნილის პროდუქტს კიდევ ცალკეული სავაჭრო ქსელები გვავალდებულებენ, რომ იაფი სეგმენტის ასორტიმენტიც გვქონდეს და ამიტომ გვიწევს ვაწარმოოთ ასეთი პროდუქციაც. ასეთი ნაწარმი ჩვენი წარმოების სულ 10%-ს შეადგენს, ეს მხოლოდ ჩვენი კომპანიის წარმოების. იაფია და ამიტომ, მოგეხსენებათ, დაბალი ხარისხი და ნაკლებად სასარგებლოა. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ ეს არაა მომწამლავი, დასაშვებ ნორმებს ვიყენებთ და შედარებით კიდევ უფრო ნაკლებს. ბუნებრივია, ამით მე არ მინდა გავამართლო მცენარეული პროდუქციის მწარმოებლები და მათი დამცველი ვიყო. ცხადია, გვიმსჯელია იმაზეც, სულ უარი ვთქვათ პალმის ცხიმის გამოყენებაზე, მაგრამ ბაზარი ითხოვს. თუ ქსელურ სავაჭრო ობიექტებს ფართო და იაფ ასორტიმენტს ვერ სთავაზობ, ეს ჩვენთვის პრობლემაა. ჩემს ინტერვიუში კიდევ გავიმეორებ, მე ბიო მწარმოებელი ვარ და ეგ მიმართულება, რასაც გვედავებიან, სულაც არაა ჩემი მიზანი და ვინც ჩემს მიდგომას იცნობს, კარგად იცის, რომ მე ყოველთვის ნედლ რძეს წარვმართავ და მალე საერთოდ დავამარცხებთ ფხვნილებს და ცხიმებს. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ეს რეალობაა, მთავარია მომხმარებელი არ მოატყუო და ეტიკეტი სწორად გააკეთო. რაც არ უნდა კედელთან მიმაყენონ, ერთი რამ ზუსტად ვიცი, ამ ფხვნილების და მცენარეული ნაწარმის ადვოკატი ვერ გავხდები.“

ილია მარტყოფლიშვილი

# „ჩვენ ვართ აგრესიული საზოგადოება და ვზრდით აგრესიულ შვილებს“ - ფსიქოლოგის რჩევები მშობლებს

***რა პრობლემები აქვთ დღეს ბავშვებს და საიდან მოდის ისინი, რამდენად სწორია აღზრდის მეთოდები, რომელსაც მშობლები, სასწავლო დაწესებულებები და ის ინსტიტუციები მიმართავენ, რომელსაც ბავშვებთან აქვთ შეხება, როგორი უნდა იყოს მშობლის დამოკიდებულება ბავშვის მიმართ, როცა მას პრობლემა აქვს — ამ და სხვა საკითხებზე ფსიქოლოგიის დოქტორი, ევროპაში აკრედიტებული ფსიქოთერაპევტი, საქართველოს ეროვნული გელშტალტ ინსტიტუტის წარმომადგენელი, პროფესორი თეა გოგოტიშვილი საუბრობს.***

თეა გოგოტიშვილი: ახალი გამოწვევების გათვალისწინებით, ძალიან რთულად ხდება გადასვლა იმ აღმზრდელობით ფსიქოლოგიურ მიდგომებზე, რომელზეც მუშაობს მეცნიერება, პედაგოგიური ფსიქოლოგია. სერიოზული პრობლემაა ის, რომ არ ხდება ამ ცოდნის გაზიარება იმ ინსტიტუციების მიერ, რომლებიც არიან პასუხისმგებელი ბავშვის განვითარებაზე, დაწყებული საბავშვო ბაღიდან, დასრულებული ოჯახით და სკოლით თუ საზოგადოებრივი ფონით. ადამიანი იბადება მიკროსოციუმში, ამიტომ პირველ რიგში, მშობელი უნდა იყოს ინფორმირებული ელემენტარულ, ძალიან მნიშვნელოვან აღმზრდელობით საკითხებზე. დღეს ჩვენ ვხედავთ დანგრეულ, დამახინჯებულ ფსიქიკას ბავშვებში, იმიტომ, რომ მშობელმა ან არ იცის, რა არის ზიანის გამომწვევი, ან იცის, მაგრამ არ ზრუნავს, რომ იყოს მოტივირებული, ჰუმანურად აღზარდოს და შესაბამისი გარემო შეუქმნას ბავშვს. სამწუხაროდ, ჩვენს რეალობაში საკმაოდ ხშირად, ადამიანებს ელემენტარული სასიცოცხლო პრობლემები აქვთ გადასაწყვეტი, აღარ ჰყოფნით რესურსი იმისა, რომ მნიშვნელოვან ჰუმანურ საკითხებზე გაამახვილონ ყურადღება და მშობლებს აღარ შესწევთ უნარი, აკონტროლონ ემოცია.

**ძირითადად, რა პრობლემებით მოდიან მშობლები და რა აწუხებთ ბავშვებს?**

დღეს ხშირად ვაწყდებით ფსიქოლოგიურ წნეხს. ჩვენ დემოკრატიას ახლა ვსწავლობთ როგორც ქვეყანა, სახელმწიფო, რომელიც საზოგადოების მაკროორგანიზმია, ხოლო მიკროორგანიზმი — ოჯახი, სადაც დემოკრატიული აღზრდის შესახებ ხშირ შემთხვევაში, წარმოდგენაც კი არ აქვთ. უფრო მეტიც, დემოკრატიულობის მიმართ სტერეოტიპულად ნეგატიური დამოკიდებულებებიც კი გვხვდება. ხშირად, დამკვიდრებულია იმპერატიული, მორჩილებაზე დამყარებული აღზრდის სტილი, რომელიც არ ითვალისწინებს თანამედროვე გამოწვევებს. სოციალისტურ წყობაში ადამიანი რთულად გადარჩებოდა დემოკრატიული სულისკვეთებით, რადგან ავტორიტარული იყო თვითონ სისტემა და ეს ადამიანები იქიდან მოდიან ან მათი აღზრდილები არიან და დღესაც ასე მიაჩნიათ, რომ ავტორიტარული აღზრდა სიკეთეს მოუტანს, ჯერ ბავშვს და შემდეგ საზოგადოებას. ეს არის არაინფორმირებულობის პრობლემა. კვლევები აჩვენებს, რომ ავტორიტარული, მმართველობითი აღზრდის სტილი აქვეითებს ინტელექტუალურ უნარებს, დემოკრატიული აღზრდის სტილი კი, ავითარებს ბავშვის შესაძლებლობებს, უნარებს, ნიჭს, იმ პიროვნულ რესურსებს, რომელიც მისი წარმატების საწინდარია.

პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში და სამწუხაროდ, ხშირად საქართველოშიც, წნეხი, რომლის ქვეშაც იმყოფებიან ბავშვები, ხელს უშლის მათ პიროვნულ გავნითარებას. არა მხოლოდ ოჯახში, სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად, სკოლაშიც, მასწავლებლებს სხვანაირად არ ძალუძთ და წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ვართ — ველით თაობათა ცვლას და ბუნებრივ პროგრესს და არ ვცდილობთ, გავწიოთ შეგნებული ძალისხმევა იმისთვის, რომ ხელი შევუწყოთ ჩვენს პროგრესს. მე ხშირად მაქვს ახალგაზრდებთან შეხება, რომლებსაც უჩნდებათ ფსიქოლოგიური დახმარების საჭიროება, რადგან გარემოა ძალადობრივი. ფიზიკური ძალადობა რაოდენობრივად მცირდება, რადგან სკოლაში მანდატურებს აქვთ პასუხისმგებლობა ამ საკითხზე და როგორც ამას არა ერთი ბავშვთა უფლებადამცველი აღნიშნავს, შსს წარმატებულად ფუნქციონირებს ამ მხრივ. ისინი აკონტროლებენ ოჯახში ძალადობას, ტრენინგებს გადიან და მაქსიმალურად ცდილობენ, შეასრულონ თავიანთი ვალდებულება, მაგრამ ფსიქოლოგიური ძალადობა კვლავ რჩება სერიოზულ გამოწვევად.

**რა სახის რეკომენდაციებს მისცემთ მშობლებს, როგორია დემოკრატიული აღზრდა?**

ფრანგულ ტელევიზიას ჯერ კიდევ 90-იან წლებში ჰქონდა სამეცნიერო პოპულარული ფილმი — „ბავშვი პიროვნებაა“. წარმოიდგინეთ, წინა საუკუნეში ევროპა ამაზე სერიოზულ პროპაგანდას წევდა და მედია რესურსებს ხარჯავდა იმისთვის, რომ საზოგადოებას გაეგო, როგორ უნდა აღზარდო ბავშვი. ბავშვი პიროვენებაა, ნიშნავს იმას, რომ ის უნდა ვაღიაროთ როგორც თანასწორი, დამოუკიდებელი და მისი შესაძლებლობების მიმართ პატივისცემით და ნდობით განვეწყოთ. არ უნდა გვეგონოს, რომ ბავშვის ცხვარივით მწყემსვა, ანდა, მისი გონების პროგრამირებაა კარგი აღზრდის მეთოდი. ხშირად მშობელი ფიქრობს შვილზე, რომ ის ვერ შეძლებს თავისთვის სასიკეთო გადაწყვეტილებების მიღებას. ეს არის აბსოლუტურად მცდარი მოსაზრება და გამოდის, რომ ასე ვზრდით თავისუფალი არჩევანის

(გაგრძელება გვ.7)

# შეხვედრა იუბილართან

რვა ათეულ წელს გადასცილდა გაზეთ „შირაქის“ისტორია, უამრავი თანამშრომელი გააცილა, უამრავი იდეის ავტორი და განმახორციელებელი გახლდათ, თუმცა, არასოდეს გადაუხვევია მთავარი გზავნილისთვის-მუდმივ კავშირში ყოფილიყო ადგილობრივ მოსახლეობასთან, გაეზიარებინა მათი წუხილი თუ სიხარული და არასოდეს გამორჩენოდა ხანდაზმული ღვაწლმოსილები, რომელთაც თავიანთი აგური დადეს ჩვენი რაიონის განვითარების საქმეში. ქალბატონმა, რომელზეც დღეს გიამბობთ, პირადად ჩემთვის ყველა მითი დაარღვია იმის თაობაზე, ცხრა ათეული რომ შეგისრულდება, დაუძლურდები ან ისე ველარ შეძლებ თავის მოვლას, როგორც მანამდე, ან სიცოცხლის ხალისს დაკარგავ და სხვა...დღითი დღე ვრწმუნდები, რომ ადამიანები არ იცვლებიან, უბრალოდ მეტ გამოცდილებას იძენენ ცხოვრების გრძელ გზაზე, ხასიათი და განწყობა კი იგივე რჩება...ჩვენი რესპოდენტი-ქალბატონი მერი ფიროსმანაშვილი იუბილარია, მას 20 თებერვალს 90 წელი შეუსრულდა. რედაქციამ მიულოცა ქალბატონ მერის დაბადების დღე და რამოდენიმე კითხვითაც მივმართეთ მას:

***– მოკლე ავტობიოგრაფია:***

– დაიბადა 1929 წლის 20 თებერვალს კოლმეურნეთა ოჯახში, სკოლის დამთავრებისთანავე, 1949 წლიდან მუშაობა დაიწყო წითელწყაროს სამალიარო სადგურში სტატისტიკოსის თანამდებობაზე და მას მერე ფაქტიურად 1994 წლამდე 45 წლიანი უწყვეტი სამუშაო სტაჟი აქვს რიგითი მოანგარიშიდან მთავარ ბუღალტრობამდე. 1952 წელს წ/წყაროს სადაბო საბჭოს მოანგარიშედ, 1963 წლიდან საქალაქო საბჭოს ბუღალტრად, ხოლო 1979 წლიდან საქალაქო საბჭოს ცენტრალური ბუღალტერიის მთავარ ბუღალტრად მუშაობდა 1994 წლამდე. ქალბატონ მერის სარევიზიო კომისიის მიერ მინიჭებული აქვს სანიმუშო აღრიცხვის ბუღალტრის ტიტული, ხოლო 1987 წელს დაჯილდოვდა მედლით „შრომითი მამაცობისათვის“. 1994 წელს, დედოფლისწყაროს ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით, როგორც დამსახურებულ კადრს, მოუწყეს საზეიმო გაცილება.

**– როგორ შეაფასებთ დღევანდელ ახალგაზრდობას და ზოგადად, ადამიანურ ურთიერთობებს?**

– დღეს ახალგაზრდებს აქვთ მეტი თავისუფლება და გამოხატვის საშუალება, მეტი მეგობრები ჰყავთ. ადრეც იყო ურთიერთმეგობრობა და კეთილგანწყობა, მაგრამ ბევრად მოკრძალებულად. დღევანდელ საზოგადოებას და ურთიერთობებს რაც შეეხება, იგრძნობა ერთგულების დეფიციტი, განსაკუთრებით გაჭირვებული ოჯახების მიმართ. მხოლოდ სიმდიდრე მიაჩნია ზოგს ადამიანის ღირსებად.

**– რა არ მოგწონთ და რა მოგწონთ ყველაზე მეტად საზოგადოებაში ამ გადასახედიდან?**

– დღეს ძალიან მომწონს სიტყვის თავისუფლება, თუმცა, მიმაჩნია, რომ ზოგჯერ აჭარბებენ და უხეშად მიმართავენ, ვისთანაც არ ეკადრებათ, მეტი მოთმინებაა საჭირო, რაც ყველას დაავიწყდა.

**– როგორ ხედავთ ჩვენი სამშობლოს ხვალინდელ დღეს და თქვენი აზრით, დავიბრუნებთ თუ არა ოდესმე წართმეულ ტერიტორიებს – აფხაზეთსა და სამაჩაბლოს?**

– ჩვენი სამშობლოს ხვალინდელ დღეს ვხედავ საიმედოდ, თუკი ამ მომავალს განაგებენ უფრო ძლიერი და სამართლიანი ადამიანები, რომლებიც ხალხს არაფრით მოგვატყუებენ. ტერიტორიების დაბრუნებასაც იმ შემთხვევაში შევძლებთ, როდესაც შიგნით გვექნება მეტი მშვიდობა, თუ არ ვიქნებით ეგოისტები და სხვისი კეთილდღეობა არ შეგვშურდება, არ ვიქნებით ასე ერთმანეთის შეურაცხყოფით დაკავებულები, გარედან რომ ძლიერები გამოვჩნდებით, მეტი საშუალება მოგვეცემა, როგორც ტერიტორიების დაბრუნების, ისე ქვეყანაში სოციალური კეთილდღეობისა და წინსვლის.

**– თუ საიდუმლო არ არის, გვირჩიეთ, რა არის მშვიდი და დაფასებული სიბერის საწინდარი?**

– ადამიანს მშვიდი და დაფასებული სიბერე მაშინ აქვს, როცა ქვეყანაში მშვიდობაა, არ ვართ ბოღმითა და ღვარძლით სავსეები, როცა სხვისი კეთილდღეობით ვხარობთ, როდესაც ადამიანები გვიყვარს. მე , მართალია, ოჯახი არ შემიქმნია, მაგრამ ჩემი დისშვილებით და ძმისშვილებით ვხარობ, მათი შვილებით და შვილიშვილებით, თავს მევლებიან და მანებივრებენ, ყველანაირად მეხმარებიან მცირედ პენსიაზე მყოფს, ისე ნამდვილად ვერ შეძლებს მარტოხელა ადამიანი კვების, მედიკამენტების და გათბობის უზრუნველყოფას. მადლობა მათ ამისთვის, მადლობა თქვენ, რომ არ დაგავიწყდით და მომილოცეთ დაბადების დღე, ვარ თქვენი გაზეთის გულშემატკივარი და მოუთმენლად გელით ყოველ ორშაბათს.

**– გილოცავთ, ქალბატონო მერი, კიდევ ერთხელ და წინ უამრავ ხალისიან ორშაბათს გისურვებთ!**

ელზა ხარაშვილი

# მოსწავლეთა 73-ე შემოქმედებითი კონფერენცია

20 თებერვალს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაიმართა 73-ე სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციის II ტური რომელშიც მონაწილეობდნენ: სოფელ სამრეკლოს, ხორნაბუჯის, ოზაანის, ზემო ქედის, არხილოსკალოს, ქვემო ქედის, ფიროსმანის და დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლების მოსწავლეები. კონფერენციის პირველი ტური ჩატარდა სკოლებში და მასალები გადმოიგზავნა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში. ჩვენთან შექმნილმა კომისიამ განიხილა

თემები და 20 თებერვალს გაიმართა პრეზენტაცია,რომელსაც ესწრებოდნენ სკოლების პედაგოგები და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის თანამშრომლები. მოსწავლეებმა ძალიან საინტერესოდ დაიცვეს საკუთარი ნაშრომები. წარმოდგენილი თემები გაიგზავნა რეგიონალურ ტურზე განსახილველად საგარეჯოში, სადაც კიდევ ერთხელ მოუწევთ მოსწავლეებს თემების დაცვა. რეგიონალურ ტურზე გამარჯვებული თემები გაიგზავნება თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ფინალური ტურისთვის.იქ გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდებიან დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით. ჩვენს აქტიურ და ნიჭიერ მოსწავლეებს ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს. მადლობა ყველა პედაგოგს და სკოლის დირექტორებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კონფერენციაში.

თამარ ლაპიაშვილი

*მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი*

# „ჩვენ ვართ აგრესიული საზოგადოება და ვზრდით აგრესიულ შვილებს“

(მეექვსე გვერდიდან)

არ მქონე თაობებს, რომლებიც შემდეგ ადვილად ექცევიან მავნე ზეგავლენის ქვეშ.

**რისი ეშინიათ მშობლებს, რატომ ირჩევენ ავტორიტარულ სტილს?**

მათ საკუთარი პიროვნული ფობიები აქვთ. ფიქრობენ, რომ პრობლემები, რომლებიც თავად ჰქონდათ ანდა აქვთ, ასევე უქადით მათ შვილებს და ამის არიდება სურთ. ხშირად ვისმენთ ფრაზას — „მე აბა რისი დედა ვარ, თუ მე არ გავაკეთე ყველაფერი, რომ მას უზრუნველი ცხოვრება ჰქონდეს.“ და უზრუნველი რა არის იცით? — რომ მან ჩაალაგოს მის ნაცვლად ჩანთა, მან აირჩიოს მის ნაცვლად, რა ჩაიცვას, რა ჭამოს, შევარდეს აბაზანაში და თვითონ დაბანოს ხელ-პირი, გულზე რომ არ დაიწვეთოს და არ დაისვაროს ტანსაცმელი, როცა ბავშვმა თვითმომსახურების უნარები უნდა გამოიმუშავოს, კოვზით უნდა ჩაჩაროს პირში საჭმელი და შეზღუდოს მისი ინიციატივები, უსუსური არსება გაზარდოს.

**ხშირად აწუხებთ მშობლებს ეს პრობლემა, რომ ბავშვი არ არის მოტივირებული განათლება მიიღოს, წაიკითხოს და ა.შ. როგორ იქცევა ამ შემთხვევაში მშობელი?**

მე ვიცი, რომ ტექნიკურ პროგრესთან ერთად, წიგნიერების პრობლემა არის და არის, არა მხოლოდ საქართველოში. ბევრი უცხოელი კოლეგა აღნიშნავს იმას, რომ ახალგაზრდები ერთ სივრცეშიც კი, ერთმანეთს ონლაინ ეურთიერთებიან. ეს არის გლობალური პრობლემა. ამაზე საბავშვო ბაღის და დაწყებითი სკოლის დონეზეა საზრუნავი. ეს ყველაფერი თვალში მოსახვედრი ხდება გარდატეხის პერიოდში, როცა ბერკეტები მშობელს უკვე ნაკლები აქვს. 16 წლის მოზარდის მშობელი რომ მოვა და მეტყვის — იცით რა, ვეღარ ვიმორჩილებ და არ ვიცი, როგორ მოვიქცეო, ზუსტად ამაშია მთელი უბედურება, მორჩილების რეჟიმში როდესაც ამყოფებენ ბავშვს, 16 წლის ასაკში ეს მიდგომა კრახით მთავრდება და ურთიერთობა ზიანდება. მოზარდი თავისი საჭიროების გაცნობიერებით უნდა მოქმედებდეს. თუმცა, მე ვიცნობ დამამთავრებელ კლასებში მყოფ მოზარდებს, რომლებსაც ისეთი სწრაფვა აქვთ განათლების მიღების, ისეთი მოტივირებული არიან, მაგრამ ეს პროცენტულად ზღვაში წვეთია.

**რამ შეუქმნა მოტივაცია ან ერთ კატეგორიას და რამ განაპირობა მეორეს დემოტივაცია?**

ერთის მხრივ, ისევ და ისევ ავტორიტარიზმმა, ანდა ზე (ჰიპერ) მზრუნველობამ, მეორეს მხრივ კი — ინდიფერენტულმა, ანუ გულგრილმა აღზრდის სტილმა, როცა მშობელი საერთოდ ვერ ახერხებს შვილთან კონტაქტს და პირადი მაგალითის მიცემას, რომელიც ბავშვს მოტივაციას გაუჩენს და ეს არის კვლევებზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნები.

**როცა ბავშვი არ ასრულებს საშინაო დავალებებს და ა.შ. როგორ უნდა მოიქცეს მშობელი?**

ამ დროს იმის ნაცვლად, რომ ვუკითხოთ მას ლექციები, რომელიც, რასაკვირველია, მათთვის სრულიად გაუგებარია, ამ დროს ისინი აღარც უსმენენ მშობელს, თანამშრომლური დამოკიდებულება არის ერთადერთი გამოსავალი. უჭირს ბავშვს თავისი სათამაშოების მოწესრიგება და ვამჩნევთ ამას? ერთად ვაკეთოთ ეს მეგობრულად და მერე თანდათად გამოვეცალოთ, რომ დამოუკიდებლად გააგრძელოს თავისი საქმე. იგივეა გაკვეთილების შემთხვევაშიც. ერთად დავსხდეთ და ჩვენ კი არ ვუკარნახოთ, ერთად ვიმსჯელოთ, განვიხილოთ საკითხები. აქვე გეტყვით, უინტერესობა სწავლის მიმართ, მშობლის მიზეზით არ ყალიბდება, ეს არის მასწავლებლის დაბალი კომპეტენციის შედეგი. კვლევები გვიჩვენებს, რომ საგნებში, სადაც მასწავლებლები ახერხებენ შეაყვარონ თავი მოსწავლეს, მათ უყვართ არა მხოლოდ ის მასწავლებელი, არამედ მისი საგანი და აინტერესებთ ის.

# ევროკავშირის ელჩს ჰანკისში ნაბადი აჩუქეს

პანკისის უხუცესთა საბჭოს წევრებთან შეხვედრის შემდეგ, ევროკავშირის ელჩი სოფელ დუისში იმ პედაგოგებს შეხვდა, რომლებიც ცოტა ხნის წინ, ბრიუსელში, სასწავლო პროგრამით იმყოფებოდნენ.

პანკისელმა მასწავლებლებმა კარლ ჰარცელს ბრიუსელში ვიზიტის დროს მიღებული შთაბეჭდილებები გაუზიარეს და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საგანმანათლებლო პროექტების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

ელჩის განცხადებით, პროექტის ფარგლებში დუისის კულტურის სახლის რეაბილიტაცია დაიწყება, რაც საგანმანათლებლო და კულტურულ ცხოვრებას ხეობაში კიდევ უფრო გაზრდის.

შეხვედრის დაწყებამდე მასპინძელმა პედაგოგებმა ევროკავშირის ელჩს ნაბადი საჩუქრად გადასცეს.


## ყურადღება!

**სოფელ ოზაანში მცხოვრებ 89 წლის დავითკა გარსენიშვილს ესაჭიროება მომვლელი. დავითკა, რომელიც სამამულო ომის ვეტერანია, ჯანმრთელობას არ უჩივის. მას მომვლელი ესაჭიროება კომუნიკაციისთვის, რათა მარტოობა შეუმსუბუქოს. მსურველები დაუკავშირდით: 557756861**

**იყიდება სასწრაფოდ 3 ოთახიანი ბინა დედოფლისწყაროში, ჰერეთის ქ.N35 ში კეთილმოწყობილი, ევრორემონტით. ფასი შეთანხმებით.**

**598 13 82 12**


## მოგონება

### ნანი მარტყოფლიშვილი

ჩვენო ძვირფასო დედა, შენი წასვლით მძიმე ტკივილი დაგვატოვე. 18 თებერვალს 79 წელი შეგისრულდებოდა. პირველად შევხვდით უშენოდ ამ დღეს. საკუთარ დაბადების დღეზე დაგვტოვე, უკვე 1 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. წარმოუდგენლად დიდი ტრავმა მოგვაყენა შენმა დაკარგვამ.

დედა, შენი საყვარელი შოთიკო უკვე დაქორწინდა, ბედნიერია ნათიასთან ერთად. ნეტავ მოსწრებოდი ამ დღეს. გიყვარდა ყველა, უზომოდ კეთილი იყავი. ამბობენ, ღმერთსაც კარგი უნდაო. ალბათ ასეა.

როცა საყვარელ ადამიანს კარგავ, თითქოს გულიდან რაღაც გეგლიჯება, მაგრამ დრო მკურნალია და ვეჩვევით ტკივილს და უშენობას. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა. ღმერთმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი ჩვენო ტკბილო დედავ და ბებიავ!

მეუღლე, შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები

---

დედოფლისწყაროს №2 საშუალო სკოლის 1978 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის

**თეო ფავლენიშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

თანაკლასელი დავით ბეჟანიშვილი და მისი მშობლები ნათელა და ელგუჯა ბეჟანიშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ეკა ფავლენიშვილს დის

**თეო ფავლენიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

მეზობლები: გია გონაშვილი, ნანა ყაზარაშვილი, სოსო გოგაშვილი, ნონა ნიკოაშვილი, გენადი ნასრაშვილი, ნოდარი გივიშვილი, გივი ლომიძე, ნელი ღვინიაშვილი, ნაზი მოსაშვილი, დათო რობიტაშვილი, მარინე კაკალაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ლია კაკალაშვილს მეუღლის, ჯემალ და ინაზი კოტაშვილების ოჯახს სიძის

**ანზორ ზურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის მღვდელმსახურები და მრევლი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გივი (გიორგი) ყოჩიაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს მეუღლეს ნინო წიკლაურს და შვილებს: ეკა და ია ყოჩიაშვილებს. ნათელში ამყოფოს მისი უკვდავი სული.

---

დედოფლისწყაროს №1 საშუალო სკოლის 1988-89 წლის კურსდამთავრებულები თანაგრძნობას უცხადებენ ია ყოჩიაშვილს მამის

**გივი ყოჩიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნინო წელაურს მეუღლის და გულიკო ყოჩიაშვილს ძმის

**გივი ყოჩიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ნაირა გორაშვილი, ნელი გობეჯიშვილი და ნაზი მოსაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ნინო წელაურს მეუღლის, ეკა და ია ყოჩიაშვილებს მამის და გულიკო ყოჩიაშვილს ძმის

**გივი ყოჩიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები: შოთა ბეგაშვილი, გივი საბიაშვილი ოჯახებით, თამაზ კობაიძე, თინა ნატროშვილი იუწყებიან გივი ყოჩიაშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ნინო წელაურს მეუღლის, ეკა და ია ყოჩიაშვილებს მამის, გულიკო ყოჩიაშვილის ძმის

**გივი ყოჩიაშვილი**

ძმის გარდაცვალების გამო.

---

თბილისის ქუჩის მეფრინველეობის კორპუსის მაცხოვრებლები იუწყებიან

**გივი ყოჩიაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ნინო წელაურს მეუღლის, ეკა და ია ყოჩიაშვილებს მამის, გულიკო ყოჩიაშვილს ძმის გარდაცვალების გამო.

---

შვილები: ბესარიონ და ბელა გიგოლაშვილები; სიძე გოდერძი იორამიშვილი; შვილიშვილი ელენა იორამიშვილი იუწყებიან დედის

**ლამარა ქიტესას ასულ ბოსტოღანაშვილის**

გარდაცვალებას.

დაიკრძალა 21 თებერვალს ქ. დედოფლისწყაროში.

---

ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს განყოფილება თანაგრძნობას უცხადებს ორგანიზაციის აქტიურ წევრს მარინა შეითნიშვილს დედის

**მერი შეითნიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეგობრები ნანა აფციაური და ნანა ჭიჭინაძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ მაია ბოსტაშვილს და თემურ ოზბეთელაშვილს დედის

**მაყვალა ოზბეთელაშვილის**

გარდაცვალების გამო

---

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მაია ბოსტაშვილს და თემურ ოზბეთელაშვილს დედის

**მაყვალა ოზბეთელაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

დედოფლისწყაროს ს.ს. „ტრანსპორტელის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნუგზარ ალუღიშვილს დედის

**ლამარა ალუღიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ლია და თემურ ოზბეთელაშვილების ოჯახებს დედის

**მაყვალას**

გარდაცვალების გამო.

---

ნაირა გორაშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ნუგზარ ალუღიშვილს და ნათელა ლობჟანიძეს დედის

**ლამარა ალუღიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ბესო გიგოლაშვილის დედის

**ლამარას**

გარდაცვალების გამო.

ევროკავშირი საქართველოსთვის
ENPARD

HEKS EPER

## ევროკავშირის მხარდაჭერით ორგანიზაცია HEKS-EPER დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სოფლის განვითარების მეორე საგრანტო კონკურსს აცხადებს

ორგანიზაცია HEKS-EPER საქართველო, ევროკავშირის ENPARD-ის პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობა ეკონომიკური განვითარებისათვის“ (PROCEED) ფარგლებში, დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან **(LAG)** და ბიოლოგიური მეურნეობის ასოციაცია „ელკანა“-სთან ერთად აცხადებს მეორე ღია საგრანტო კონკურსს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში.

საგრანტო კონკურსი მოიცავს როგორც ქალაქ დედოფლისწყაროს, ასევე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ყველა ერთეულს. შემოსული განაცხადები შეფასდება დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის (LDS) და მისი პრიორიტეტების შესაბამისად. საგრანტო თანხა ხელმისაწვდომი იქნება წარმატებული პროექტების მხარდასაჭერად. მინიმალური გრანტის ოდენობა არის 1,000 ევრო (ეროვნულ ვალუტაში, გაცემის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსის შესაბამისად) და მაქსიმალური არის 60,000 ევრო (ეროვნულ ვალუტაში, გაცემის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსის შესაბამისად).

### საგრანტო კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია იმ პროექტების დაფინანსება, რომელიც მიზნად ისახავს ცხოვრების დონისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაში შემავალი პრიორიტეტებისა და მიზნების გათვალისწინებით.

**განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 5 მარტი, 2019 (14:00 სთ-მდე)**

საგრანტო კონკურსში მონაწილეობა გულისხმობს განმცხადებლის მხრიდან თანხობრივ თანამონაწილეობას შემდეგი პირობებით:

1. კომერციული ორგანიზაციები (შპს, ი/მ, ამხანაგობა, კოოპერატივი, სააქციო საზოგადოება-აუცილებელი მოთხოვნაა, რეგისტრირებული იყოს განცხადების წარდგენამდე მინიმუმ 6 თვით ადრე) - პროექტის ჯამური ბიუჯეტის მინიმუმ 40%, ხოლო, თუ მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 30.000 ლარს, თანამონაწილეობის თანხა განისაზღვრება 25%-ით.

2. მუნიციპალური და სამთავრობო უწყებები, არასამთავრობო ორგანიზაციები - პროექტის ჯამური ბიუჯეტის 10%.

3. სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივები (აუცილებელი მოთხოვნაა, რეგისტრირებული იყოს განცხადების წარდგენამდე მინიმუმ 6 თვით ადრე) - პროექტის ჯამური ბიუჯეტის 25%.

4. ფიზიკური პირები (სტარტაპი) - პროექტის ჯამური ბიუჯეტის 25%. საგრანტო თანხა არ უნდა აღემატებოდეს 30.000 ლარს. (აუცილებელი მოთხოვნა - იურიდიულ ერთეულად დარეგისტრირება გრანტის მიღების შემთხვევაში).

### დაშვების ზოგადი წესები:

საგრანტო კონკურსში მისაღები იქნება ყველა ის პირველადი საპროექტო განაცხადი (პროექტის კონცეფცია), რომელიც განხორციელდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში. პროექტიდან მიღებული უშუალო სარგებელი მიმართული უნდა იყოს დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის მიზნების განხორციელებისაკენ. საგრანტო კონკურსში დაიშვება ყველა კონცეფციის ფორმა, რომელსაც აპლიკანტი წარმოადგენს კონკურსის ბოლო დღის, **2019 წლის 5 მარტის 14:00 სთ-მდე** ელექტრონული ფოსტის მეშვეობით „PROCEED“-ის მისამართზე:

proceed@heks-eper.org.ge

კონცეფციის ფორმები სრულად უნდა იყოს შევსებული და უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის მინიმუმ ერთ პრიორიტეტს.

პირველადი საპროექტო განაცხადის წარდგენისათვის, საჭირო პირობებსა და პროცედურაზე ინფორმაციის მიღება შესაძლებელია დოკუმენტ „მეორე საგრანტო კონკურსის აღწერა“ მეშვეობით, რომლის გადმოწერა შესაძლებელია შემდეგ ვებ-გვერდიდან www.enpard.ge

ასევე, ამ გვერდზე განთავსებულ განცხადებაში იქნება შესაძლებელი ჩამოიტვირთოს

პირველადი საპროექტო განაცხადი (კონცეფციის ფორმა)!

**კითხვების შემთხვევაში გთხოვთ მიმართოთ:**

- შოთა კუკულაძე - საველე კოორდინატორი
  მობილური: 599 350 508
  ელ-ფოსტა: fcdedoplistskaro@elkana.org.ge
- ლაშა აბაშიძე - გარემოს დაცვისა და კატასტროფების რისკის შემცირების სპეციალისტი
  მობილური: 591 195 506
  ელ-ფოსტა: envdedoplistskaro@elkana.org.ge
- ალეკო ბაღდაძე - სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების სპეციალისტი
  მობილური: 591 195 508
  ელ-ფოსტა: agridedoplistskaro@elkana.org.ge

ელკანა ELKANA

LAG DEDOPLISTSKARO

# მოზაიკის ნამუშევრები დაუცველია!




***დედოფლისწყარო იმ რაიონებს შორისაა, სადაც საბჭოთა კავშირის პერიოდისთვის დამახასიათებელი მოზაიკის დეკორატიული ნამუშევრები ისევ შემორჩენილია. ყველაზე თვალსაჩინო აბრას წარწერით „დედოფლისწყაროს რაიონი“ წნორიდან მომავალი მგზავრი ტიბაანის შემდეგ, სოფელ ოზაანში შესვლამდე გზაზე შეამჩნევს. მოზაიკის ნახატები შემორჩენილია სოფელ არბოშიკშიც, გმირთა მემორიალის შენობის გარე ფასადსა და შიდა კედელზე.***

მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის დედაქალაქში, ისინი რამდენიმე ადგილას ჯერ კიდევ გვხვდება. თუმცა, როგორც გაირკვა, უნიკალური მოზაიკური ნახატები გაქრობის საფრთხის წინაშეა. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, მათ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ამ დრომდე არ აქვთ, ამის გამო კი შენობების დიდი ნაწილი დაინგრა, ნაწილი გასხვისდა და კერძო საკუთრებაში მოექცა. შემორჩენილი ნახატების მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, მათ დაცვაზე კი არც სახელმწიფო ზრუნავს და არც კერძო მეპატრონეები. მათი აღდგენა შეუძლებელია, აღარ არსებობენ სპეციალისტებიც.

სწორედ შესაბამისი სპეციალისტების არარსებობის გამო ბათუმში მდებარე ყველაზე პოპულარული მოზაიკის „რვაფეხას“ აღდგენა შეუძლებელი აღმოჩნდა, რის შემდეგაც ორიოდ წლის წინ მისი დემონტაჟი დაიგეგმა. პოპულარულ სასტუმროების ქსელ „ჰილტონს“ ამ ტერიტორიაზე სხვა გეგმები ჰქონდა. ყველასგან გასაოცრად, „რვაფეხას“ მოსალოდნელზე მეტი დამცველი გამოუჩნდა და საპროტესტო აქციები რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. მასობრივი მხარდაჭერის შედეგად საბჭოთა „რვაფეხა“ დანგრევას გადაურჩა.



არბოშიკში გმირთა მემორიალის შენობა 1972 წლის 9 მაისს გაიხსნა. მშენებლობა და მოზაიკის მოხატვა კი 1971 წლიდან დაიწყო. შენობაში შინმოუსვლელთა მუზეუმი ამოქმედდა, რომლის გარე ფასადზე მოზაიკით მეომრის ნახატი განთავსდა, ხოლო შენობის შიდა კედელზე კიდევ ერთი ნამუშევარია შესრულებული.

ისტორიკოსი მურად ელაშვილი, რომელიც იმავდროულად სოფელ არბოშიკში მერის წარმომადგენელია, ამბობს, რომ ბევრი ძიების მიუხედავად ნამუშევრების ავტორთა ვინაობას ვერ მიაგნო.

„გახსნის თარიღი ზუსტად მახსოვს, ფოტოებიც მაქვს შემონახული. სოფელში მანამდე ტელეგადაცემებიც არ არსებობდა, ამიტომ, მემორიალთან ამავე დღეს გაიხსნა სატელევიზიო ანძაც. ამიტომ, ეს თარიღი კიდევ ამითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ სოფელს გადაცემების ყურების შესაძლებლობა მიეცა. შენობაში გმირთა მუზეუმი იყო, გამოფენილი იყო ომში დაღუპულთა ფოტოები და მონაცემები. არბოშიკიდან 270 კაცი დაიღუპა, ყველა მათგანის ფოტო არ არსებობდა, მაგრამ გვარები და ცარიელი ჩარჩო მათთვის განკუთვნილ ადგილზე ეკიდა. 2006 წლამდე დარაჯი ჰყავდა და მეტნაკლებად დაცული იყო. შემდეგ უკვე სოფლებს ბიუჯეტი გაუუქმდა, შესაბამისად, დარაჯიც აღარ ჰყოლია. შენობას უფრო დიდი ზიანი 90-იან წლებში მიადგა, ამ შენობაში მხედრიონი შედიოდა და იქვე ცხოვრობდა. შემდეგ „ქართული ოცნების“ მოსვლისთანავე სოფელმა მოითხოვა, რომ ჭერი მაინც გადახურულიყო, რათა შენობა განადგურებისგან დაგვეცვა. ასეც მოხდა. დაახლოებით 12 000 ლარი გამოიყო რაიონული ბიუჯეტიდან და ჭერიც შეიცვალა, კარიც დამონტაჟდა და დღეს შედარებით დაცულია“ – ამბობს მურად ელაშვილი.

ამ დროისთვის არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები, რამდენი მოზაიკური ნამუშევარი იყო საქართველოში, ან ამჟამად რამდენია შემორჩენილი. ინფორმაციის თავმოყრა მოხალისეებმა ახლა დაიწყეს. გამოიცა წიგნი-ალბომი, სადაც მაქსიმალურად იყო გადმოცემული დღემდე შემორჩენილი მოზაიკის ნამუშევრები. მასალა დიდი ხანია მზად იყო, თუმცა ფინანსების არარსებობის გამო მისი გამოცემა გაჭიანურდა. ავტორი ამბობს, რომ დღეს არცერთი ეგზემპლარი აღარ მოიპოვება და მთლიანი ტირაჟი სწრაფად გაიყიდა.

ნინო სირაძე მთელი საქართველოდან ერთი წლის განმავლობაში აგროვებდა მოზაიკის ფოტოებს. მან ფოტოკოლექციას ვებგვერდზე: www.soviet-mosaics.ge — მოუყარა თავი. საიტზე თითოეულ მოზაიკას თან ერთვის რუკა, თუ სად მდებარეობს და როგორ შეიძლება მიხვიდეთ დანიშნულების ადგილამდე.

„საბჭოთა პერიოდში გაკეთებული მოზაიკების ორ კატეგორიას გამოვყოფდი — მოზაიკური კომპოზიციები, რომლებიც, როგორც მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები იქმნებოდა და ისინი, რომლებიც უფრო მეტად პროპაგანტისტულ იდეებს ემსახურებოდა. ორივე კატეგორია თანაბრადაა საინტერესო. ამ პანოებს შესაძლოა მონუმენტური ხელოვნების თვალსაზრისით არ ჰქოდეთ ღირებულება, ისინი ძალიან საინტერესოა საბჭოთა ისტორიისა და სოციალურ-კულტურული კვლევის თვალსაზრისით. ისეთი მოზაიკური კომპოზიციები, როგორიც საბჭოთა პერიოდში კეთდებოდა, იშვიათობაა მსოფლიოს მასშტაბით. მონუმენტური ხელოვნების ეს მიმართულება მხოლოდ რამდენიმე ათწლეული არსებობდა და ნაკლებსავარაუდოა, რომ ოდესმე კიდევ გახდეს იმდენადვე პოპულარული, ალბათ მისი სიძვირისა და სირთულის გამო. ჩემი აზრით, ეს კიდევ უფრო უნიკალურს ხდის საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მოზაიკურ კომპოზიციებს,“ — ამბობს კოლექციონერი.

„საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის“ მკვლევარი, ირაკლი ხვადაგიანი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მოზაიკა იყო კარგად გააზრებული საბჭოთა იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილი.

„პროპაგანდისათვის ერთი მიმართულება იყო კინო, რადგან ის ყველაზე ეფექტური გზა იყო მასებზე ზემოქმედებისთვის. მეორე იყო მოზაიკა. მართალია, მოზაიკა კინოს ჩამოუვარდებოდა შთაბეჭდილების მოხდენის თვალსაზრისით, მაგრამ იმის გამო, რომ ეს ნახატები, მოზაიკები, დიდი ფერწერული ნამუშევრები ყოველდღიური გარემოს ნაწილი ხდებოდა და თავშეყრის ადგილებში აშენებდნენ, უფრო ინტენსიური ზემოქმედება ჰქონდა მნახველზე. შინაარსი, რაც ამ ნახატებში იყო ჩადებული, თავის მიზანს აღწევდა,“ — ამბობს ირაკლი ხვადაგიანი.

ილია მარტყოფლიშვილი

## ამინდი

**დედოფლისწყარო**

| | ორშაბათი 25.02 | | სამშაბათი 26.02 | | ოთხშაბათი 27.02 | | ხუთშაბათი 28.02 | | პარასკევი 01.03 | | შაბათი 02.03 | | კვირა 03.03 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| | 3 ° | 2 ° | 1 ° | −6 ° | -3 ° | −4 ° | 0 ° | −5 ° | -1 ° | -3 ° | 2 ° | -2 ° | -1 ° | -4 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.